



**TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY**

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 11/ 2017

თბილისი

28 თებერვალი 2017 წ.

სხდომა დაწყების დრო: 10.00

სხდომის დასრულების დრო: 11.00

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორები: პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი, პროფ. ხათუნა ქორიძე, ასოც.პროფ. რუსუდან დევნოზაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი, ასოც პროფ. ხათუნა კალაძე, ასოც. პროფ. ელენე ნიკობაძე, ასოც. პროფ. ვლადიმერ ხუტაშვილი; ასოც. პროფ. თამარ ვახტანგაძე, ასოც. პროფ. სერგო ციცხვია, ასისტენტ-პროფ. მედეა დარასელია, ასოც პროფ. ნანა ჯინჭარაძე, ასოც პროფ. ლაშა კალმახელიძე, ასოც პროფ, მარინე შავლაყაძე, ასოც პროფ. იმედა რუბაშვილი

სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი, ზ. ენგოიანი, მ. გაბუნია ლ.ხმელიძე.

ქვორუმი: 19

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლ. ოზგაიძე

დღის წესრიგი:

1. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე გარე მობილობით სტუდენტის გადმოსვლისა და მის მიერ გავლილი სასწავლო დისციპლინების დაკრედიტების საკითხი (მომხს. პროფ. ი. საყვარელიძე)
2. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტურ ადგილებზე სტუდენტთა განწესება. (მომხს. პროფ. ი. საყვარელიძე)

მოისმინეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით, თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა სურს სტუდენტ აიდან იბრაჰიმს (შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს);

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა რომ სტუდენტმა იმ უნივერსიტეტიდან, სადაც ის სწავლობდა, წარმოადგინა აკადემიური ბარათის ასლი, რომლის მიხედვითაც უნდა უღიარდეს სასწავლო კრედიტები თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო (რუსულენოვანი) პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებში. ფაკულტეტის საბჭომ აღნიშნული სასწავლო ბარათის მიხედვით განიხილა სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემები და გაკეთდა შედარება თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად ჩაითვალა აიდან იბრაჰიმს დაუკრედიტდეს გავლილი სასწავლო დისციპლინები 151 ECTS კრედიტის ოდენობით. (ოქმს თან ახლავს შედარების აქტი, დანართი 1-ის სახით);

მეორე საკითხთან დაკავშირებით, თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს განახლებისა და მასში აკადემიური პერსონალის განწესების გამო საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობას დაემატოს სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა, რათა ფაკულტეტის დებულების თანახმად მათი შემადგენლობა განისაზღვროს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედის ოდენობით. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წევრებად წარმოდგენილნი არიან:

1. მაია ჯანელიძე;
2. ნიკა კუკავა.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. თამარ ვახტანგაძემ, პროფ. ნინო ორმოცაძემ;

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა.

გადაწყვიტეს:

1. აიდან იბრაჰიმ დარეგისტრირდეს თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე, 151 ECTS კრედიტის აღიარებით;

2. განწესდნენ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი სტუდენტები:

1. მაია ჯანელიძე;

2. ნიკა კუკავა.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 8 წევრის ოდენობით:

1. თინათინ ჩადუნელი;

2. თამარ სიყმაშვილი;

3. თამარ მერებაშვილი;

4. ზოია ენგოიანი;

5. მარიამ გაბუნია;

6. ლანა ხმელიძე;

7. მაია ჯანელიძე;

8. ნიკა კუკავა.

1. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

მდივანი:



ი. საყვარელიძე

ლ. ოზგაიძე